ცხოველთა ნაშიერები

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	მხატვრული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	246
კითხვის დონე:	მე-11
ტექსტის მოკლე შინაარსი:	ტექსტი „ცხოველთა ნაშიერები“ ცხოველებს, მათ შვილებს, მათ საცხოვრებელ ადგილსა და ცხოვრებას შეეხება.

გაკვეთილის მიზანი:

მოცემული ტექსტის - „ცხოველთა ნაშიერები“ გაგება-გააზრება და სტრუქტურული თუ ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.

გაგება / გააზრება:

- მთავარი იდეის გამოკვეთა;
- სიუჟეტის განვითარების საფეხურების (დასაწყისი, ამბის განვითარება, დასკვნა) გამოყოფა;
- სიუჟეტის პროგნოზირება და მოვლენათა თანამიმდევრობის ამოცნობა.

ლექსიკა და გრამატიკა:

ფონეტიკა	სინტაქსი/გრამატიკა	ლექსიკა
1. ქართულისთვის სპეციფიკური ბგერის „ღ“-ს ამოკითხვასა და წარმოთქმაზე ვარჯიში; 2. ქართულისათვის სპეციფიკურ ჰარმონიულ ბგერათკომპლექსზე „**დღ**“ მუშაობა და ამ ბგერათკომპლექსის გააქტიურება.	1. კითხვითი წინადადებების შედგენაზე ვარჯიში „შვილო, სად ხარ? და „ხომ არ გინახავს?“ კონსტრუქციების გააქტიურება და სხვა კითხვითი წინადადებების კონსტრუქციებზე ვარჯიში.	1.ცხოველებისა და მათი ნაშიერების აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა; 2. ტექსტში გამოყენებული ცხოველების და მათი ნაშიერების ურთიერთდაკავშირება; 3. ტექსტში გამოყენებული ცხოველებისა და მათი ნაშიერების საცხოვრებელი ადგილის ამოცნობა და დასწავლა.

რესურსები:

1. წიგნი - „ცხოველთა ნაშიერები“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის) ან კლასში კომპიუტერისა და პროექტორის ან ნეთბუკების გამოყენებით ჩვენება
2. დაფა, ცარცი.
3. ბარათები დისკუსიისათვის.
4. სამუშაო ფურცლები

ახალი სიტყვები:

სპლიყვი, დღნაშვი, კვიცი, ლეკვი, ბელი, სორო, ბუნაგი, თავლა, ფულურო

ტექსტის გაგება / გააზრება - ტექსტის მთავარი იდეის გამოკვეთა; არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა.

საგაკვეთილო აქტივობები

I. ტექსტის წაკითხვამდე:

1. სანამ ტექსტის წაკითხვას დაიწყებდეთ, ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა იციან შინაური და გარეული ცხოველების შესახებ. დაასახელებინეთ ის ცხოველები, რომლებიც იციან, შემდგომ სთხოვეთ, დაასახელონ ამ ცხოველების შვილები და წარმოთქვან მათი სახელები. დაფაზე ჩამოწერეთ მოსწავლეების მიერ ჩამოთვლილი ცხოველები, მათი შვილების სახელები. აგრეთვე ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ იციან მათი საცხოვრებელი ადგილების სახელწოდებები. დასახელებული საცხოვრებელი ადგილებიც დაწერეთ დაფაზე.
2. დაურიგეთ მოსწავლეებს წიგნები სათითაოდ. აჩვენეთ მათ წიგნის წინა და უკანა ყდა და წაუკითხეთ წიგნის სათაური. იმსჯელეთ მოსწავლეებთან წიგნის ყდის შესახებ, რას ხედავენ ყდაზე. წაახალისეთ მოსწავლეები, გამოთქვან საკუთარი ვარუდი, როგორი ტიპის წიგნი შეიძლება იყოს ეს, ან რის შესახებ შეიძლება ეწეროს წიგნში.
3. ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ ფიქრობენ, წიგნი მხატვრულია თუ არამხატვრული. სთხოვეთ, ახსნან თავიანთი მოსაზრებები.

აქტივობები უშუალოდ კითხვის დროს:

გაგების უნარი/ ტექსტის მთავარი იდეისა და მეორეხარისხოვანი დეტალების გამოყოფა:

1. სთხოვეთ ბავშვებს, წაიკითხონ ტექსტი. ტექსტის წასაკითხად შეგიძლიათ სხვადასხვა მეთოდი გამოიყენოთ. სთხოვეთ ბავშვებს, დამოუკიდებლად

წაიკითხონ ტექსტი. შესთავაზეთ მათ, რიგრიგობით, გაგრძელებით წაიკითხონ ტექსტი, ისე, რომ ყველა მოსწავლე იყოს ჩართული ან სთხოვოთ, ერთმა ბავშმა წაიკითხოს და სხვა ბავშვებმა გაიმეორონ ტექსტი. არჩეული სტრატეგია დამოკიდებულია მასწავლებელზე და კონკრეტულ კონტექსტზე, მოსწავლეების რაოდენობაზე კლასში და მათ საჭიროებებზე

2. აუხსენით, რომ ყველა ტექსტს აქვს ერთი მთავარი იდეა. ეს იდეა ყველაზე მნიშვნელოვანია ტექსტში. უთხრით, რომ ხშირად ტექსტის მთავარი იდეა ტექსტის სათაურშივეა გამოხატული.
3. გამოიყენეთ ტექსტის შინაარსი ტექსტის დამხმარე დეტალების იდენტიფიცირებისათვის.

ლექსიკა/გააზრება

სიტყვებზე მუშაობა:

მოსწავლეები დაყავით სამ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს მიეცით კონკრეტული დავალება: (ა) პირველ ჯგუფს სთხოვეთ, დახატონ ორი გრაფა. ტექსტიდან გაიხსენონ ცხოველები, რომლებიც მონაწილეობენ ტექსტში და ტექსტის გმირები არიან. ყველა ცხოველი, რომელსაც გაიხსენებენ, ჩამოწერონ პირველ გრაფაში, ხოლო მეორე გრაფაში მიუწერონ ამ ცხოველების ნაშიერების დასახელება. დავალების შესრულებისას კარგად გაიხსენონ ტექსტი. შესაძლებელია, ტექსტიც დაიხმარონ და წარმოადგინონ ნაშრომი: (ბ) მეორე ჯგუფს, პირიქით, სთხოვეთ. გაიხსენონ ტექსტში მოხსენიებული ცხოველეთა ნაშირები. პირველ გრაფაში ჩამოწერონ ცხოველთა ნაშიერები, ხოლო მეორე გრაფაში მიუწერონ ამ ნაშიერებს მშობლების დასახელბა; გ) მესამე ჯგუფს სთხოვეთ იმ საცხოვრებელი ადგილების დასახელება, რაც ტექსტშია მოცემული და ჩამოწერონ პირველ გრაფაში. ხოლო მეორე გრაფაში მიუწერონ

იმ ცხოველების დასახელება, ვინც ამ საცხოვრებელში ცხოვრობს. ამასთანავე, ამ ჯგუფს სთხოვეთ, გაიხსენონ, ვისი საცხოვრებელი არ არის მითითებული ტექსტში და ამ აღმოჩენის შემდეგ იმსჯელონ, სად ცხოვრობს მითითებული ცხოველი.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ამ დავალების ცხრილებს, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შექმნან:

ცხოველი	ნაშიერი
დათვი	
ციყვი	
მელა	
ცხენი	
სპილო	

ნაშიერი	მშობლები
ბელი	
სპლიყვი	
ლეკვი	
კვიცი	
სპლიყვი	

ცხოველთა საცხოვრებელი	ცხოველი
ბუნაგი	
სორო	
ფუღურო	

თავლა	
ჯუნგლები	

ჯგუფური სამუშაოს დასრულების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, კითხვების საშუალებით გააერთიანონ ცოდნა და შექმნან ცხოველების, მათი ნაშიერებისა და მათი საცხოვრებელი ადგილებისცხრილი: ქვემოთ წარმოგიდგენთ ამ დავალების შემდეგ მისაღებ ცხრილს, რომელიც დაფაზე უნდა დახატოთ და მოსწავლეთა დახმარებით შეავსოთ:

ცხოველი	ნაშიერი	საცხოვრებელი

კითხვის შემდგომი აქტივობები:

1. დააკვირდით კითხვის პროცესს. დარწმუნდით, რომ მოსწავლემ ბოლომდე წაიკითხა ტექსტი. წაახალისეთ თითოეული მოსწავლე, რომ მალე წაიკითხოს ტექსტი და კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი მას.
2. **შეამოწმეთ, რამდენად გაიგეს:** მაგალითად, მოსწავლეებმა წაიკითხეს ინფორმაცია მე-4 გვერდზე. სთხოვეთ წარმოიდგინონ გონებაში, რაც იქ ეწერა, შემდეგ კი სამუშაო ფურცელზე დახატონ ის. წაახალისეთ, წაკითხული ინფორმაციის მთავრი იდეა შეადარონ ნახატის მთავარ იდეას.

3. თუ შენიშნეთ, რომ მოსწავლემ ტექსტში რომელიმე სიტყვას კითხვის ნიშანი დაუსვა, ეს ნიშნავს, რომ მან ეს სიტყვა ვერ გაიგო, ან მისი სწორად გამოთქმა არ შეუძლია. წაახალისეთ მოსწავლეები გამოიყენონ ახლად ნასწავლი კითხვის სტრატეგია, წარმოთქვან სიტყვები და გაიაზრონ მათი მნიშვნელობები.

რეფლექსია გაგების უნართან დაკავშირებით

1. აიღეთ ტექსტის ნებისმიერი გვერდი, სადაც ჩამოთვლილია ნებისმიერი ცხოველი , მისი ნაშიერი და საცხოვრებელი ადგილი.. ჰკითხეთ მოსწავლეებს მათი აზრით რატომ ცხოვრობენ ეს ცხოველები კონკრეტულ საცხოვრებელ ადგილში (დათვი-ბუნაგში, მელა-სოროში, ციყვი-ფუღუროში, ცხენი-თავლაში; სპილო - ჯუნგლებში, როგორ ახერხებენ იქ ცხოვრებას, რა განაპირობებს ამ გარემოში მათ ცხოვრებას და ა.შ
2. ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ რატომ არის კონკრეტული გარემო ცხოველებისათვის საცხოვრებლად შესაფერისი. შეეცადეთ, მოსწავლეები ამსჯელოთ საცხოვრებელი გარემოს შესახებ.

ლექსიკასა და გრამატიკაზე მუშაობა:

ა. ფონეტიკა: თანხმოვან ღ-ს გააქტიურება.

1. მოსწავლეებთან ერთად გაიხსენეთ ხმოვნები და თანხმოვნები. აუხსენით „ღ“ თანხმოვნის ზოგადი თავისებურებები („ღ“ და :“გ“; „ღ“ და „ხ“) განსხვავების კონტექსტში.
2. დაწერეთ დაფაზე სიტყვები: ღვინო, ღამე, ღორი, ღობე, ღილი, ლეღვი, ღიღილო.
3. წარმოთქვით სიტყვები, სადაც გამოყენებულია თანხმოვანი „ღ“, სთხოვეთ მოსწავლეებს, წარმოთქვან იგივე სიტყვები ხმამაღლა.

4. მოსწავლეებთან ერთად გააქტიურეთ „დღ“ ბგერათკომპლექსი. დაწერეთ დაფაზე სიტყვები დღნაშვი, დღე, დღიური, დღესასწაული, დღეგრძელი სთხოვეთ, შემოხაზონ სიტყვებში ბგერათკომპლექსი „დღ“
5. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაუბრუნდნენ ტექსტს, წაიკითხონ კიდევ ერთხელ, კითხვის დროს იპოვონ თანხმოვანი „ღ“ და ბგერათკომპლექსი „დღ; სთხოვეთ მათ, წარმოთქვან ტექსტიდან სიტყვები, რომლებიც შეიცავს ბგერა „ღ“-ს ან ბგერათკომპლექს „დღ“-ს და ყოველი მათგანი გახაზონ.
6. ჩამოვწეროთ დაფაზე სიტყვები, რომლებიც „ღ“, „ხ“ ან „გ“ თანხმოვანს შეიცავს. ყურადღება გავამახვილოთ მათ სწორად წარმოთქმაზე; მივცეთ დავალება: დააჯგუფონ სიტყვები, რომლებიც შეიცავენ „ღ“, „ხ“, „გ“ თანხმოვნებს:

ღ	გ	ხ
მაგ. *ღობე, დღნაშვი, დღე, ღიღილო, ღია..*	*გობი, დგომა, ადგილი, გიგილო, გია*	*ხე, ხელი, ფეხი, ხახვი...*

სიტყვების ჩამოწერის შემდეგ მოსწავლეები ავარჯიშეთ „ღ“-ს და „გ“-ს, „ღ“-ს და „ხ“-ს შორის განსხვავებაზე და აუხსენით, როგორც იცვლება სიტყვის მნიშვნელობა „ღ“-სა და „გ“-ს, „ღ“-სა და „ხ“-ს აღრევის შემთხვევაში

სინტაქსი:

კითხვითი წინადადების აგება

1. დაწერეთ წინადადება: „სად ხარ შვილო?“ - დაფაზე... ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორი წინადადებაა ეს წინადადება? მოსწავლეების პასუხების შემდეგ გამოკვეთეთ კითხვითი სიტყვა „სად“, აუხსენით მოსწავლეებს, თუ როგორი წინადადებების საწარმოებლად გამოიყენება სიტყვა „სად“. სთხოვეთ

მოსწავლეებს კითხვითი სიტყვის „სად’ გამოყენებით შეადგინონ წინადადებები და ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები ამ კითხვითი სიტყვის გამოყენებით.

2. დაწერეთ შემდეგი წინადადება დაფაზე: „ჩემი შვილი ხომ არ გინახავს?“. სთხოვეთ მოსწავლეებს, ამ კონსტრუქციის გამოყენებით შეადგინონ მსგავსი წინადადებები და ერთმანეთს დაუსვან კითხვები. შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, ამ წინადადებაში იპოვონ კითხვითი სიტყვა. თუკი მოსწავლეები ვერ შეძლებენ კითხვითი სიტყვის მოძებნას, აუხსენით მათ კითხვით წინადადებებს შორის არსებულ განსხვავებებზე. კითხვითი წინადადება, რომელიც შეიცავს კითხვით სიტყვას და კითხვითი წინადადება, რომელიც არ შეიცავს კითხვით სიტყვას. ავარჯიშეთ მოსწავლეები ორი სხვადასხვა ტიპის კითხვითი წინადადების წარმოებაში. ამ სავარჯიშოს განსახორციელებლად გამოიყენეთ ცხრილი:

კითხვითი წინადადება კითხვითი სიტყვით	**კითხვითი წინადადება კითხვითი სიტყვის გარეშე**
მაგ: სად წავიდა ის?	წავიდა ის?

3. **შეამოწმეთ, როგორ გაიგეს:** სთხოვეთ მოსწავლეებს, ტექსტში იპოვონ კითხვითი წინადადებები. დააჯგუფონ კითხვითი წინადადებები კითხვითი სიტყვისგან შემდგარ და კითხვითი სიტყვის გარეშე წინადადებებად.

საშინაო დავალება:

დაავალეთ მოსწავლეებს სახლში, მშობლებისგან, უფროსი და-ძმისგან, მეგობრებისგან მოიძიონ ინფორმაცია რომელიმე ცხოველზე, მის ნაშიერსა, საცხოვრებელ ადგილზე და მათს თავისებურებებზე. ამ ცხოველის და მისი ნაშიერის დედაშვილურ ურთიერთობაზე და ა.შ. სთხოვეთ მოსწავლეებს, შემდეგ გაკვეთილზე მოძიებული ინფორმაცია გააცნონ თანაკლასელებს. ინფორმაციის მოძიებაში, შესაძლებლობების ფარგლებში, გამოიყენონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.